პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 10 ივნისი, 1945 წ. № 114 (7329). ფასი 20 კაპ.

მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას

უხვი მოსავალი მწიფდება საკოლმეურნეო მინდვრებზე. კოლმეურნეთა ბეჯითმა შრომამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. კიდევ რამდენიმე დღე, და ბარის ზონაში ქერისა და პურის მოსავლის აღება დაიწყება.

მოსავლის აღება მნიშვნელოვანი პერიოდია სოფლის მეურნეობაში. ამ პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა ოპერატიულობა, სწრაფი მანევრირების უნარი, ძალების სწორი განაწილება. დიდი **სტალინი** გვასწავლის, რომ „მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ—მოიგებ, დააგვიანებ მოსავლის აღებას — წააგებ".

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ წინასწარ როგორ მოვემზადებით. დრო მზადებისათვის ცოტა დარჩა. ამიტომ დარჩენილი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

საქართველოში პურეულის მნიშვნელოვანი ნაწილი კომბაინებით იქნება აღებული. კომბაინი მოსავლის აღების ძირითადი მანქანაა. იგი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი, გვიცავს დანაკარგისაგან. მტს-ების დირექტორების და პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს კომბაინები მომზადებული შეახვედრონ მოსავლის აღებას. ხაშურის, აგარის, ქარელის, გორის, ახალსოფლის, ასურეთის, ალაზნის, ლაგოდეხისა და ბორჩალოს მტს-ებმა უკვე დაამთავრეს კომბაინების რემონტი. მაგრამ მარტო ეს მტს-ები არ სწყვეტენ საქმეს. ფაქტები მოწმობენ, რომ საქართველოში კომბაინების რემონტი არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 5 ივნისისათვის 140-ზე მეტი კომბაინი შეუკეთებელი იყო, შეკეთების დაწესებული ვადა კი კარგა ხანია ამოიწურა. მთელ რიგ მტს-ებში ამ მხრივ შეუწყნარებელი მდგომარეობაა. წითელქალაქის მტს-მა (დირექტორი ამხ. არაქელოვი) 5 ივნისისათვის კომბაინების რემონტის გეგმა მხოლოდ 20 პროცენტით შეასრულა, თელავის მტს-მა (დირექტორი ამხ. კოხრეიძე) გეგმა შეასრულა 17,6 პროცენტით, ბაშკიჩეთისამ (დირექტორი ამხ. ლუკაშვილი) — 12 პროცენტით. საგრძნობლად ჩამორჩნენ ბოლნისის (დირექტორი ამხ. კალანდაძე), საგარეჯოს (დირექტორი ამხ. ნიკოლაიშვილი), სართიჭალის (დირექტორი ამხ. აბესაძე), კაჭრეთის (დირექტორი ამხ. ფხალაძე) და სხვა მტს-ები.

ასევე ნელი ტემპით მიმდინარეობს სალეწი მანქანების რემონტი.

რით აიხსნება ეს ჩამორჩენა?

უპირველეს ყოვლისა იმით, რომ რაიონულმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამიწათმოქმედო ორგანოებმა დროულად არ მიიღეს ზომები კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის დასაჩქარებლად.

ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ მანქანა-ტრაქტორების სადგურებმა დააგვიანეს რემონტის დაწყება, ხელიდან გაუშვეს კომბაინებისა და სალეწების შეკეთების საუკეთესო დრო.

ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ მთელ რიგ მტს-ებში მოწყობილი არ არის მუდმივი სარემონტო ბრიგადები, რის გამო ცალკეულ სარემონტო სახელოსნოებში დაბალია შრომის დისციპლინა, ნაკლები კონტროლი ეწევა შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ დასახელებული მტს-ების სახელოსნოები სრული დატვირთვით არ მუშაობენ და არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას სათადარიგო ნაწილების აღსადგენად და დასამზადებლად, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ სპეციალური დადგენილება მიიღო კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების რემონტის მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველჰყოფს ჩამორჩენის ლიკვიდაციას მოსავლის აღებისათვის მზადებაში. აუცილებელია, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ მტს-ებს, ღრმად შეისწავლონ სარემონტო სახელოსნოების მდგომარეობა, ხელი შეუწყონ მათს მუშაობას, რემონტს ყოველდღიურად, ოპერატიულად უხელმძღვანელონ. რემონტის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობაა სარემონტო სახელოსნოებში ორცვლიანი მუშაობის მოწყობა, და ეს უნდა გავაკეთოთ დაუყოვნებლივ, სწრაფად.

რემონტის ტემპების გაძლიერებასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხარისხს. სახელმწიფო კომისიების მიერ კომბაინების მიღებისას უნდა სწარმოებდეს კომბაინების სვლაში გამართვა, რისი შედეგების გათვალისწინებითაც გადაწყდება საკითხი, თუ რამდენად მზად არის კომბაინი მოსავლის აღებისათვის. პარტიის რაიონული კომიტეტები ვალდებულნი არიან სახელმწიფო კომისიების საშუალებით უზრუნველჰყონ კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტის ხარისხზე მტკიცე კონტროლი.

კომბაინების რემონტის დაჩქარებისათვის ჩვენი მრეწველობის საწარმოებმა სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ მტს-ებს ნაწილებით. ბევრი საწარმო კარგად ასრულებს დავალებას კომბაინებისათვის ნაწილების დამზადების დარგში. მაგრამ ეს არ ითქმის იმ საწარმოზე, რომლის დირექტორია ამხ. ბოკერია. აქ გეგმით მიცემული 2.000 ნაწილის ნაცვლად დაამზადეს მხოლოდ 870 ნაწილი. ეს არ შეშვენის აღნიშნული ქარხნის კოლექტივს.

კომბაინების შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭიროა მძღოლთა კარგი კადრები. წელს საქართველოში მომზადდა 96 კომბაინერი, 108 კომბაინერის თანაშემწე, გადამზადდა 100 კომბაინერი და 59 თანაშემწე. ჩვენი მტს-ები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან კომბაინერებითა და მათი თანაშემწეებით. ახლა საჭიროა სწორად გამოვიყენოთ ეს კადრები.

აუცილებელია დაჩქარდეს სამკელი მანქანების, ძნის მკვრელების, მოსავლის ასაღები სხვა მარტივი მანქანების, ცელებისა, ნამგლებისა და სხვა ინვენტარის რემონტი. ჩვენს პირობებში მარტივ მანქანებზე ბევრად არის დამოკიდებული პურეულის დროზე აღება. მარტივი მანქანებისა და ინვენტარის რემონტის დასაჩქარებლად საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ საკოლმეურნეო სამჭედლოები. გადაჭრით გავაუმჯობესოთ მათი მუშაობა.

მოსავლის უდანაკარგოდ აღება უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო საქმეა. ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი კიდევ უფრო ფართოდ გაშლის სოციალისტურ შეჯიბრებას, ნაყოფიერად გამოიყენებს მთელ შესაძლებლობებს და გამარჯვების მოსავლის აღებას მომზადებული შეხვდება.

ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ტალინი, 8 ივნისი. (საკდესი). შესდგა ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს IV სესია.

1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. კეეროდმა. მან განაცხადა, რომ რესპუბლიკას დიდ დახმარებას უწევს სსრ კავშირის მთავრობა, რომელიც საკავშირო ბიუჯეტიდან იძლევა სახსრებს.

უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ტინურის თანამოხსენებისა და კამათის შემდეგ სესიამ დაამტკიცა რესპუბლიკის მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ესტონეთის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. სეპრემ.

სესიამ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების 1945 წლის გეგმა.

სესიის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმებანი ამხანაგ სტალინისადმი, ამხანაგ კალინინისადმი, დიდი რუსი ხალხისადმი, ლენინგრადის ფრონტის მებრძოლების, ოფიცრებისა და გენერლებისადმი და წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტისადმი.

სესიამ მიიღო მიმართვა ესტონელი ხალხისადმი, რომელშიც ესტონეთის მშრომელთ მოუწოდებს სწრაფად აღადგინონ მშობლიური ქალაქები და სოფლები.

საფრანგეთის ავიაპოლკის „ნორმანდია-ნემანის" საბჭოთა კავშირიდან სამშობლოში გამგზავრების გამო

ევროპაში საომარი მოქმედების დამთავრებასთან დაკავშირებით, საფრანგეთის საავიაციო გამანადგურებელი პოლკი „ნორმანდია-ნემანი", რომელიც საბჭოთა მფრინავებთან ერთად წარმატებით იბრძოდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, უახლოეს დღეებში საფრანგეთს გაემგზავრება.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ ი. ბ. სტალინის მითითებით ავიაპოლკ „ნორმანდია-ნემანს" საფრანგეთის ავიაციისადმი საბჭოთა კავშირის საჩუქრად და საბჭოთა და ფრანგ ხალხთა მეგობრობის ნიშნად გადაეცემა თვითმფრინავები და საავიაციო საჭურველი, რომლებსაც ფრანგი მფრინავები მამაცურად და დიდი წარმატებით იყენებდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. იოსებ ანდრიას-ძე **კახიანი** დანიშნა საქართველოს სსრ წიაღთმოპოვების სახალხო კომისრის მოადგილედ მეცხვარეობის დარგში და საქართველოს სსრ მიწსახკომის მეცხვარეობის სამმართველოს უფროსად.

გაზეთ „პიონერსკაია პრავდას"

„პიონერსკაია პრავდის" ოცი წლისთავის დღეს მხურვალედ მივესალმები გაზეთის რედაქციას, ნორჩ კორესპონდენტებსა და მკითხველებს!

„პიონერსკაია პრავდა" ეხმარება საბჭოთა ბავშვებს ცოდნის შეძენაში, პიონერებსა და მოსწავლეებს ზრდის ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძთა სულისკვეთებით.

ვუსურვებ „პიონერსკაია პრავდას" ახალ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით ნორჩ ლენინელთა აღზრდის საქმეში.

ი. სტალინი

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბავშვთა აღზრდისა და სწავლების დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის, პიონერთა და მოსწავლეთა წარმატებითი ორგანიზებისათვის შესაფერის შრომაში მონაწილეობის მისაღებად სამშობლოს სასარგებლოდ— დაჯილდოებულ იქნას გაზეთი „პიონერსკაია პრავდა" შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
წითელი არმიის გენერლების სუვოროვის I ხარისხის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით

არმიის გენერალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინი**
გენერალ-პოლკოვნიკი სერგი მათეს-ძე **შტემენკო**
გენერალ-პოლკოვნიკი თევდორე ფედოტეს-ძე **კუზნეცოვი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 4 ივნისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
მედლების „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის" დაწესების შესახებ

1. დაკმაყოფილებულ იქნას სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და დაწესდეს სპეციალური მედლები „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის".

2. დაჯილდოებულ იქნან მედლებით „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის" ბუდაპეშტის, კენიგსბერგის, ვენისა და ბერლინის გმირული იერიშისა და აღების ყველა უშუალო მონაწილე, აგრეთვე ამ ქალაქების აღებისას საბრძოლო ოპერაციების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

3. დამტკიცდეს დებულება მედლებისა „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის".

4. დამტკიცდეს ნიმუშები და აღწერილობა მედლებისა „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 9 ივნისი.

დებულება
მედლებისა „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის"

1. მედლებით „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის" ჯილდოვდებიან წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარების სამხედრო მოსამსახურენი—ბუდაპეშტის, კენიგსბერგის, ვენისა და ბერლინის გმირული იერიშისა და აღების უშუალო მონაწილენი, აგრეთვე ამ ქალაქების აღებისას საბრძოლო ოპერაციების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები.

2. მედლების გადაცემა სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული ქალაქების იერიშსა და აღებაში ფაქტიურ მონაწილეობას, და რომლებსაც გასცემენ ნაწილების მეთაურები და სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებათა უფროსები.

მედლებს გადასცემენ:

იმ პირებს, რომლებიც წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარის ნაწილებში იმყოფებიან—ჯარის ნაწილების მეთაურები, ხოლო იმ პირებს, რომლებიც არმიისა და ფლოტის შემადგენლობიდან გავიდნენ,—საოლქო, საქალაქო და რაიონული სამხედრო კომისრები დაჯილდოებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მედლებს „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის" ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე.

თუ დაჯილდოებულს აქვს ორდენები და სხვა მედლები, ზემოაღნიშნული მედლები (ან მათი ლენტები უმედლოდ ტარების შემთხვევაში) თავსდებიან მედალ „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" შემდეგ მარჯვნიდან მარცხნივ შემდეგი რიგით: „ბუდაპეშტის აღებისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ვენის აღებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის".

აღწერილობა
მედლისა „ბუდაპეშტის აღებისათვის"

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „ბუდაპეშტის აღებისათვის". წარწერის თავზე ზემოთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ხოლო ქვემოთ ნამგლისა და ურის გამოსახულება ორ გადაჯვარედინებულ დაფნის შტოზე. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ბუდაპეშტის აღების თარიღი: „1945 13 თებერვალი", თარიღის თავზე—ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის ნარინჯისფერი აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტს შუაში აქვს 8 მმ სიგანის ცისფერი ზოლი.

აღწერილობა
მედლისა „კენიგსბერგის აღებისათვის"

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „კენიგსბერგის აღებისათვის", ზემოთ წარწერის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ დაფნის შტო. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის კენიგსბერგის აღების თარიღი: „1945 10 აპრილი", თარიღის თავზე—ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტი შესდგება ერთიმეორის მონაცვლე ხუთი ზოლისაგან: სამი ზოლი შავია და ორი კი — მწვანე. ნაპირებზე ლენტს შემოვლებული აქვს ვიწრო მწვანე ზოლი.

აღწერილობა
მედლისა „ვენის აღებისათვის"

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „ვენის აღებისათვის", ზემოთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ დაფნის შტო. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ვენის აღების თარიღი: „1945 13 აპრილი", თარიღის თავზე — ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის ცისფერი აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტს შუაგულში აქვს 8 მმ სიგანის ლურჯი ზოლი.

აღწერილობა
მედლისა „ბერლინის აღებისათვის"

მედალი მრგვალია, 32 მმ დიამეტრით, კეთდება თითბრისაგან.

მედლის წინა მხარეზე არის: ცენტრში წარწერა „ბერლინის აღებისათვის", ზემოთ წარწერის თავზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ქვემოთ წრეხაზზე მუხის ფოთლების ნახევარგვირგვინი. მედალს შემოვლებული აქვს ქობა.

მედლის მეორე მხარეზე არის ბერლინის აღების თარიღი: „1945 2 მაისი", თარიღის ქვეშ ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ყველა გამოსახულება და წარწერა მედალზე ამოზნექილია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხიან კალაპოტთან, რომელსაც გადაკრული აქვს 24 მმ სიგანის წითელი აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტის შუაგულში არის ხუთი ზოლი: სამი შავი და ორი ნარინჯისფერი. ნაპირა შავ ზოლებს შემოვლებული აქვთ ვიწრო ნარინჯისფერი ზოლები.

პრეს-კონფერენცია მარშალ გ. კ. ჟუკოვსა და ა. ი. ვიშინსკისთან

ბერლინი, 9 ივნისი. (საკდესი). აქ გერმანიის საოკუპაციო საბჭოთა ჯარების სარდალ გ. კ. ჟუკოვთან და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკისთან შესდგა საბჭოთა და უცხოეთის კორესპონდენტთა პრეს-კონფერენცია. მარშალმა ჟუკოვმა უპასუხა მრავალ შეკითხვაზე, რომლებიც მას წერილობით მისცა ინგლისელი, ამერიკელი, კანადელი და ფრანგი კორესპონდენტების ჯგუფმა.

— მე მეკითხებიან,—სთქვა გ. კ. ჟუკოვმა,— თუ რას ვთვლი მე მთავარ ამოცანად მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ამოცანებში და როგორ განვიხილავ გერმანიის მიმართ ოთხი სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის პერსპექტივების განვითარებას. ეს საკითხი საკმაოდ ნათელია ჩვენი პრესის ცნობებით საკონტროლო საბჭოს შესახებ. არავითარი განსაკუთრებული აზრი ამ თემაზე მე არა მაქვს.

— მეორე შეკითხვა, რომელიც მე მომცეს, —განაგრძო მარშალმა,—შემდეგია:

შეიძლია თუ არა გადმოგვცეთ დღემდე გამოუქვეყნებელი ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა ბერლინისათვის დამამთავრებელი ბრძოლის შესახებ.

— ბერლინისათვის ბრძოლა გადამწყვეტი იყო. ჩვენ ამ ბრძოლისათვის სერიოზული მომზადება ჩავატარეთ. ამ ბრძოლისათვის, რომელიც დამამთავრებელი აღმოჩნდა, ჩვენ მოვუშველიეთ საკმაო ძალები და ოპერაცია ვივარაუდეთ როგორც უკეთესი. ამ ოპერაციისათვის ჩვენ თავი მოვუყარეთ ტექნიკას—ავიაციის, ტანკებისა და არტილერიის იმდენ საშუალებას, რომ უმოკლეს ვადაში გაგვეტეხა მტრის წინააღმდეგობა და სწრაფად დაგვეკავებინა თვით ბერლინი. ოპერაციის მთელი დეტალები საფუძვლიანად იყო მომზადებული. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყველა სახეობის ჯარების ურთიერთმოქმედებას. გერმანელები მოელოდნენ ჩვენს დარტყმას. ამიტომ რაკი ვვარაუდობდით, რომ ისინი ჩვენს დარტყმას სწორედ ბერლინის მიმართულებით ელიან, ჩვენ ძალიან დიდხანს ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ მოგვეწყო ეს დარტყმა მტრისათვის მოულოდნელად. გერმანელებისათვის რომ დიდი მასშტაბით თავს დაგვეტეხა უეცრობა, მე, როგორც სარდალმა, ავირჩიე ღამით უეცარი იერიშის ხერხი მთელ ფრონტზე. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ჩავატარეთ ღამის საარტილერიო მომზადება. რასაც, ტყვეთა ჩვენებით, გერმანელები არ მოელოდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ჩვენ, შესაძლოა, ვიმოქმედებდით ღამით, მაგრამ არ ფიქრობდნენ რომ ეს იქნებოდა მთავარი იერიში. საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენ ჩავატარეთ ღამის სატანკო იერიში. ამ იერიშში ჩვენ გამოვიყვანეთ ოთხი ათასზე მეტი ტანკი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ოცდაორი ათასი ლულის დახმარებით. ჰაერიდან დარტყმას აწარმოებდა ოთხი-ხუთი ათასი თვითმფრინავი, რომლებმაც მოქმედება ჯერ კიდევ ღამით დაიწყეს. ავიაცია ბრძოლის ველზე მიდიოდა ტალღებად. ღამით მოქმედებდა ათასი ბომბდამშენი, დანარჩენი რაოდენობა კი—დილითა და დღისით. დღეღამის განმავლობაში განხორციელებულ იქნა თხუთმეტი ათასზე მეტი თვითმფრინავგაფრენა. ტანკებისათვის რომ ღამით ორიენტირებაში დახმარება გაგვეწია, ჩვენ გამოვიყენეთ ღამის პროჟექტორებით განათება, რაც მანამდე არავის არ გამოუყენებია.

ეს იყო დაახლოებით 4 საათზე 19 აპრილს ღამით. ამ ახალი ხერხის გამოყენებით ჩვენ მხედველობაში გვქონდა არა მარტო გზა გაგვენათებინა ჩვენი ტანკებისა და ქვეითებისათვის, არამედ ისიც, რომ დაგვებრმავებინა მოწინააღმდეგე, რათა მას არ შესძლებოდა ზუსტი დამიზნებული სროლა გაეჩაღებინა.

„რამდენი პროჟექტორი იყო?"

— ორასზე მეტი.

„რა ფრონტზე?"

— ყოველ ორას მეტრზე მთავარი დარტყმების მიმართულებით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთავარი დარტყმები განხორციელებულ იქნა სხვადასხვა მიმართულებით. როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, ჩვენი იერიში მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი, თავზარდამცემი აღმოჩნდა. გერმანელები არ მოელოდნენ ასეთ მძლავრ დარტყმას და მათი წინააღმდეგობა მალე გავტეხეთ. მოწინააღმდეგემ, რაკი ხედავდა, რომ მისმა თავდაცვამ ვერ გაუძლო, თავის დასაცავად გამოიყენა მთელი რეზერვები ბერლინის რაიონიდან და თვით ბერლინიდანაც კი მოხსნა გარნიზონის ნაწილი. მას იმედი ჰქონდა შეეჩერებინეთ ბერლინის დაცვიდან მოხსნილი რეზერვებით და ეს იყო მისი დიდი შეცდომა. მტრის მოახლოებული რეზერვები შემხვედრ ბრძოლებში დამარცხებულ იქნა ჰაერიდან და ჩვენი ტანკების მიერ. როდესაც საბჭოთა ჯარები ბერლინისაკენ გაიჭრნენ, ქალაქის დაცვა ბევრ ადგილას გაშიშვლებული იყო. კერძოდ, გაშიშვლებული იყო მოწინააღმდეგის საზენიტო თავდაცვა, რამაც საშუალება მისცა ჩვენს ავიაციას დაბალ სიმაღლეებზე ემოქმედნა. ბერლინის რაიონიდან ჯარების გაყვანით მოწინააღმდეგემ შეასუსტა თავისი წინასწარ მომზადებული და დაგეგმილი თავდაცვა და ვეღარ გაუძლო ჩვენს დარტყმას. გერმანელების მხრივ ბერლინის ოპერაციაში მონაწილეობდა ნახევარ მილიონზე მეტი ჯარი. აქედან 300 ათასზე მეტი ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ, სულ მცირე 150 ათასი მოკლულ იქნა, დანარჩენები კი გაიფანტნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბერლინის ოპერაციამ საკმაოდ წარმატებით ჩაიარა (სიცილი, გამოცოცხლება დამსწრეთა შორის) როგორც ტემპით, ისე გაწყვეტის მხრივაც. ამ ბრძოლიდან ჩვენმა ჯარებმა მრავალი დასკვნა გამოიტანეს თავისთვის, მდიდარი გამოცდილება შეიძინეს ღამის ოპერაციების წარმოებაში.

მესამე საკითხი: „როგორ მესმის მე ერთობლივი კონტროლი ბერლინისადმი?"

„დიდი ბერლინის" მართვისათვის ნავარაუდევია სამოკავშირეთაშორისო კომენდატურის მოწყობა.

„რა პირადი ურთიერთობა არის ნებადართული წითელ არმიასა და გერმანელ მოსახლეობას შორის? როგორ ფიქრობთ მოკავშირეებთან გერმანელი ხალხის ლოიალური თანამშრომლობის შესაძლებლობას?"

— ჯერ ვუპასუხებ უკანასკნელ შეკითხვაზე. მე მგონია, რომ ჩვენი ურთიერთობა გერმანელ ხალხთან და გერმანელი ხალხის ურთიერთობა მოკავშირე ხალხებთან იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევიან გერმანელები. რაც უფრო მალე გამოიტანენ ისინი თავიანთთვის სწორ დასკვნებს გერმანიის დამარცხებიდან, მით უფრო უკეთესი იქნება. წითელი არმიისა და გერმანელი მოსახლეობის ურთიერთობა მკაცრი საოკუპაციო რეჟიმით განისაზღვრება.

— როდესაც ჩვენ ამ კითხვას ვიძლეოდით, —სთქვა ინგლისურ გაზეთ „სანდი ტაიმსის" კორესპონდენტმა ა. ვერტმა,—ჩვენ გვსურდა გაგვეგო, ნებადართულია თუ არა წითელი არმიის დამხმობილეებს გერმანელ მოსახლეობასთან.

— მკაცრი საოკუპაციო რეჟიმი ფართოდ გასაგები უნდა იყოს,—მიუგო მარშალმა ჟუკოვმა.

კითხვა: „ემზადებით თუ არა თქვენ ომის დამნაშავეთა გასამართლებისათვის?"

— თავისთავად იგულისხმება.

„ვადები?"

— ჩვენ მომხრე არა ვართ გადაწყვეტილების გაჭიანურებისა, პირიქით, ჩვენ მომხრე ვართ ამ საკითხის სწრაფად გადაჭრისა.

„შეგიძლიათ თუ არა სთქვათ რაიმე წითელი არმიის დემობილიზაციის შესახებ?"

— ომი ევროპაში დამთავრდა. ეს საკითხი ამჟამად სდგას ჩვენს წინაშე და მას ვსწავლობთ.

„შეეძლებოდა თუ არა კომიტეტ „თავისუფალ გერმანიას" რაიმე დახმარება გაეწიოს საკონტროლო საბჭოს მის მუშაობაში?"

— ამ საკითხს მე არააქტუალურად ვთვლი. დაბოლოს,—სთქვა მარშალმა, — უკანასკნელი შეკითხვა, რომელიც მე წერილობითი სახით გადმომეცა: „რა ღონისძიებათა მიღებაა საჭირო გერმანიის ეკონომიური განიარაღებისათვის?"

— მე სავსებით ვეთანხმები ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებას და დეკლარაციას გერმანიის დამარცხების შესახებ, რომლებშიც ამის თაობაზე ყველაფერია ნათქვამი, რაც საჭიროა. ყოველ შემთხვევაში საქმე ისე უნდა გავაკეთოთ, რომ გერმანიამ ვეღარასოდეს ვეღარ შესძლოს წამოდგომა, როგორც აგრესიულმა სამხედრო სახელმწიფომ.

მას შემდეგ, რაც მარშალმა ჟუკოვმა უპასუხა კორესპონდენტების მიერ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებზე, დაისვა მრავალი სხვა კითხვა.

„სთვლით თუ არა შესაძლებლად ბერლინში იყოლიოთ მუდმივი უცხოელი კორესპონდენტები?"

რა თქმა უნდა, პრესას, მათ შორის უცხოეთის პრესასაც, შეუძლია სარგებლობა მოუტანოს საერთო მუშაობას.

„მიღებულია თუ არა რაიმე ღონისძიება იმისათვის, რომ უცხოელი კორესპონდენტები გადმოიყვანონ აქ მუდმივ სამუშაოზე?"

— ჩვენ ეს-ეს არის ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას შემდგომი მუშაობის შესახებ და ეს საკითხები ჯერ არ აღძრულა არც ჩვენი მოკავშირეებისა და არც ჩვენი მხრივ.

ლონდონის გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტმა ჯ. ფიშერმა ამხ. ჟუკოვს კითხა: „ღია იქნება თუ არა ომის დამნაშავეთა პროცესები პრესისათვის?"

— ახლა ძნელია ამისი თქმა, მაგრამ მე მგონია,—მიუგო მარშალმა, რომ უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვისაც და მოკავშირეებთანაც ღია პროცესები გვეწარმოებინა.

— როგორც ეს, მაგალითად, იყო ხარკოვის პროცესზე, რომელიც ღია იყო საბჭოთა და უცხოეთის პრესისათვის, — ამბობს ა. ი. ვიშინსკი.

კორესპონდენტმა ალ. ვერტმა მარშალს მისცა შეკითხვა:

„გაქვთ თუ არა თქვენ რაიმე წარმოდგენა ან აზრი იმის შესახებ, თუ რა მოუვიდა ჰიტლერს?"

— ვითარება ძალიან უცნაურია. გერმანიის მთავარსარდლის ადიუტანტების დღიურებიდან, რომლებიც ჩვენ ვიპოვეთ, ცნობილია, რომ ბერლინის დაცემამდე ორი დღით ადრე ჰიტლერმა შეირთო კინომსახიობი ევა ბრაუნი. ჰიტლერის გამოცნობილი გვამი ვერ იპოვნეს. რაიმეს დადასტურებით თქმა ჰიტლერის ბედის შესახებ მე არ შემიძლია. სულ უკანასკნელ წუთში მას შეეძლო ბერლინიდან გაფრენა, ვინაიდან გასაფრენი გზები ამის საშუალებას იძლეოდნენ.

კორესპონდენტების თხოვნით გ. კ. ჟუკოვმა მოკლედ უამბო მათ თავისი ბიოგრაფია. ამ მოთხრობის დროს დამსწრეებმა მარშალს მთელი რიგი დამატებითი შეკითხვები მისცეს:

„გვიამბეთ შორეულ აღმოსავლეთში ბრძოლების თქვენი გამოცდილების შესახებ".

— შორეულ აღმოსავლეთში მე არა ვყოფილვარ, ვიყავი მონღოლეთში—ხალხინ-გოლზე. ეს იყო ადგილობრივი ხასიათის ოპერაცია, ამიტომ იგი, არამგონია, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდეს. იგი საგულისხმოა მხოლოდ ოპერატიული თვალსაზრისით, როგორც დიდძალი ტანკისა და ავიაციის გამოყენების ოპერაცია. თვით ოპერაცია სულ ათ დღეს გრძელდებოდა, რომლის დროსაც იაპონიის მეექვსე არმია გარშემორტყმულ და განადგურებულ იქნა.

„რომელს უფრო ძლიერ მოწინააღმდეგედ სთვლით თქვენ—გერმანელებს თუ იაპონელებს?"

გერმანელები, როგორც მოწინააღმდეგე, უკვე აღარ არსებობენ,—ამბობს მარშალი,—მაგრამ, თუ წარსულზე ვილაპარაკებთ, ტექნიკური თვალსაზრისით გერმანელები უფრო ძლიერი იყვნენ, ვიდრე იაპონელები იმ დროს. რას წარმოადგენს ამჟამად იაპონელი ჯარისკაცი, ძნელია ამისი თქმა, ვინაიდან ვითარება მას შემდეგ შეიცვალა.

„დეილი უორკერის" კორესპონდენტმა დ. ჰიბონსმა მარშალ ჟუკოვს მისცა შემდეგი შეკითხვა:

„რამდენად შეგიძლიათ შეადაროთ ბერლინის დაცვა მოსკოვის დაცვას?"

— შედარება აქ არ შეიძლება. გერმანელები ჩვენ დავამარცხეთ ოდერზე, ხოლო ბერლინში მათი დასასრული იყო, ხოლო საბჭოთა დედაქალაქის დასაცავად გამოვიდნენ მორალურად ძლიერი და ტექნიკურად აღჭურვილი ჯარები. ამის მეოხებით ჩვენ შევძელით არა მარტო თავდაცვა, არამედ გერმანელებს გადამწყვეტი კონტრდარტყმაც მივაყენეთ — ეს ჩვენს გეგმებში შედიოდა. გერმანელებს კი თავიანთი დასასრულისას ბერლინის რაიონში და სხვა უბნებზე ეს უპირატესობანი არ ჰქონიათ.

„იღებდა თუ არა მარშალი სტალინი,—ჰკითხა „ტაიმსის" კორესპონდენტმა რ. პარკერმა, —ყოველდღიურ ქმედით მონაწილეობას იმ ოპერაციებში, რომლებსაც თქვენ მეთაურობდით?"

— მარშალი სტალინი,—მიუგო გ. კ. ჟუკოვმა,—დაწვრილებით და ყოველდღიურად ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ყველა უბანს, მათ შორის იმ უბანსაც, რომელზეც მე ვიმყოფებოდი.

საუბრის დასასრულს მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა დაწვრილებით გააცნო კორესპონდენტებს ბერლინის ოპერაციის სქემატური აღწერილობა დიდ რუკაზე.

ე. კაპლანსკი, ა. პოლტორაცკი

გვარდიის პოლკოვნიკ ი. დ. ბაჩაკაშვილის დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გვარდიის პოლკოვნიკი **იოსებ დავითის-ძე ბაჩაკაშვილი** დაჯილდოებულია **სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენით**.

გერმანიის ოკუპაციის ზონათა სქემა

გერმანიის ოკუპაციის ზონათა სქემის შენიშვნები

1. სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობათა შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები იკავებენ გერმანიის ტერიტორიას (აღმოსავლეთ პრუსიის პროვინციის ჩათვლით), რაც მდებარეობს იმ ხაზის აღმოსავლეთით, რომელიც გადის ლიუბეკის ყურის ნაპირზე მდებარე პუნქტიდან, სადაც ერთდება შლეზვიგ-ჰოლშტაინისა და მეკლენბურგის საზღვრები, მეკლენბურგის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით ჰანოვერის პროვინციის საზღვრამდე, შემდეგ ჰანოვერის აღმოსავლეთ საზღვრის გაყოლებით ბრაუნშვაიგის საზღვრამდე, შემდეგ პრუსიის პროვინცია საქსონიის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით ანჰალტის დასავლეთ საზღვრამდე, შემდეგ ანჰალტის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით, შემდეგ პრუსიის პროვინცია საქსონიის დასავლეთ საზღვრისა და ტიურინგიის დასავლეთ საზღვრის გაყოლებით იქამდე, სადაც იგი ბავარიის საზღვარს გადაჰკვეთს, შემდეგ აღმოსავლეთით ბავარიის ჩრდილოეთ საზღვრის გაყოლებით ჩეხოსლოვაკიის 1937 წლის საზღვრამდე. ბერლინის რაიონისათვის გათვალისწინებულია ოკუპაციის განსაკუთრებული წესი.

ზემომოყვანილ სქემაზე ჩანს, რომ ამჟამად გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის ნაწილი ჯერ კიდევ უკავიათ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებს.

2. მოკავშირეთა (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი) საოკუპაციო ზონები ჯერ კიდევ არ არიან გამიჯნული იმის გამო, რომ ამ საკითხის განხილვა ოთხი სახელმწიფოს ევროპის საკონსულტაციო კომისიის ლონდონში ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია.

3. სქემაზე ნაჩვენებია „დიდი ბერლინის" რაიონი; იგი უნდა გაიყოს ოკუპაციის ოთხ ზონად, რომლების დადგენაც ჯერ კიდევ განხილველად აქვს ზემოხსენებულ ევროპის საკონსულტაციო კომისიას.

ამჟამად „დიდი ბერლინის" რაიონში განლაგებული არიან მხოლოდ საბჭოთა საოკუპაციო ჯარები.

ქვანახშირი ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით

ტყიბული („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთელმა რიგმა უბნებმა და ცვლებმა განვლილ ხუთ თვეში (1 ივნისისათვის) გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები.

6 თვის გეგმის გადამეტებით 1.538 ტონა ქვანახშირი მისცა სამშობლოს ლენინის სახელობის შახტის მეოთხე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა, რომელსაც ამხ. გ. ფანჩულიძე ხელმძღვანელობს. უბანზე მომუშავე ცვლები შეწყობილად და რიტმულად მუშაობენ. ნ. ბოჭორიშვილის ცვლას 300 ტონა ქვანახშირი აქვს ამოღებული ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით, კ. ხაჰაპურიძის ცვლას — 573, ხოლო ი. გაბრიაძის ცვლას — 688 ტონა.

საუკეთესოდ მუშაობენ სტალინის სახელობის შახტის იმ უბანთა კოლექტივები, რომელთაც ამხ. შ. შოთაძე და მ. ციცხვაია ხელმძღვანელობენ. შოთაძის უბანმა ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით 5 თვეში 500 ტონა ქვანახშირი ამოიღო, ხოლო მ. ციცხვაიას უბანმა — 300 ტონა. ცვლათა შორის შეჯიბრებაში ტრესტში ყველას წინ უსწრებს ამხ. ე. ყანჩაველის ცვლა, რომელმაც 5 თვეში 1.000 ტონა ქვანახშირი მისცა სამშობლოს ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით.

მოწინავე მეშახტეთა დიდ უმრავლესობას საგრძნობი გადაჭარბებით აქვს შესრულებული ნახევარი წლის გეგმები. მაგალითად, [illegible] ა. დარსაძემ ხუთ თვეში ცხრა თვის გეგმა შეასრულა, ხოლო მებიგე შ. ბარდაველიძემ და მწგრეველმა დ. ქათამაძემ თვიურად 132 პროცენტით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები.

დ. ქათამაძე

ზესტაფონელი მეტალურგების ზეიმი

ზესტაფონი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). შესდგა ზესტაფონელ მეტალურგთა საზეიმო კრება, მიძღვნილი პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის მიღებისადმი. ეს დროშა ზესტაფონელმა მეტალურგებმა მოიპოვეს აპრილში მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის.

დროშის გადასაცემად ჩამოვიდა და კრებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. სკოროხოდოვი. მან გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარ ინჟინერს ამხ. მელაძეს, რომელმაც ეს დროშა ჩააბარა სადნობი საამქროს უფროსს ამხ. მაღლაკელიძეს. თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. მაღლაკელიძემ სადნობი საამქროს კოლექტივის სახელით იკისრა მომავალშიც შეინარჩუნოს პირველობა და ჩვენს ქვეყანას მისცეს კიდევ უფრო მეტი, მაღალხარისხოვანი ლითონი. ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს მეტალურგებმა გოგლიჩიძემ, მელიქაძემ და დიაკონიძემ.

მუშაობის მაღალი შეფასებით წახალისებული ზესტაფონელი მეტალურგები წარმატებით განაგრძობენ მუშაობას ივნისში. ახლა ისინი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს საშუალოდ 120 პროცენტით ასრულებენ.

პ. ჭიოკაძე

მუშაობა გააუმჯობესეს

ქუთაისი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ქუთაისის მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის მთელმა რიგმა საწარმოებმა წარმატებით იმუშავეს მაისში და მიაღწიეს ბევრად უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს, ვიდრე წინა თვეებში ჰქონდათ.

ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ა. სურმავა, პარტბიუროს მდივანი შ. მაქაბერიძე) თავი დააღწია ჩამორჩენას და მაისის საწარმოო დავალება 106 პროცენტით შეასრულა. ბარიუმის, ლიტოპონისა და შაბიამნის გამომშვებმა საამქროებმა გასულ თვეში გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით მოგვცეს პროდუქცია. ქარხანაში მაღალნაყოფიერი სოციალისტური შრომის მაგალითები გვიჩვენეს მ. გრძელიშვილმა, ვ. ბაზაძემ, ნ. ლეჟავამ, ა. კლიმოვმა და ა. გრიგოლაიამ, რომლებმაც თვიური გეგმები 200-300 პროცენტით შეასრულეს.

კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი გ. უგულავა) მაისში გეგმა 106 პროცენტით შეასრულა, 3 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეკერვის ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების შედეგად გასწია 1.323 მეტრი ქსოვილის ეკონომია. ფაბრიკაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ვ. ზეიადაძის, ქ. ასათიანის და ი. ბეჟანიძის ბრიგადები.

მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ჰ. თედორაძე) მაისში საწარმოო დავალება 22 პროცენტით გადააჭარბა და საგრძნობლად აამაღლა პროდუქციის ხარისხი. ფეიქრებმა თ. ჩხენკელმა, ქ. ჩერქეზიშვილმა, თ. ქავზიაძემ, თ. მესხმა, ო. იგანოვამ და სხვებმა საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს.

რკინიგზის ქუთაისის კვანძის საწარმოებიდან მაისში განსაკუთრებით დაწინაურდა სავაგონო დეპოს კოლექტივი (უფროსი ი. მერკვილიშვილი), რომელმაც მაისის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით 115 პროცენტით შეასრულა, იმუშავა უწუნოდ და უავარიოდ. დეპოს სტახანოველმა ბრიგადირმა შ. გაბუნიამ, ოსტატებმა გალაქტიონ ხარატიშვილმა და ნიკოლოზ ფულარიანმა, ზეინკალმა მიხეილ ჩოგოვაძემ და სხვებმა დავალებები ორმაგად და სამმაგად შეასრულეს.

ასევე წარმატებით იმუშავა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმომ — მინერალური საღებავების ქარხანამ, რომელმაც მაისის გეგმა 193 პროცენტით შეასრულა.

გ. მეფისაშვილი

სოხუმის მოწინავე საწარმოებში

სოხუმი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოხუმის საწარმოებმა მაისში ნაყოფიერად იმუშავეს. საკავშირო მრეწველობის საწარმოებმა მაისის გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულეს, ადგილობრივი მრეწველობისამ — 114,5 პროცენტით.

მაისში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საკონდიტრო ფაბრიკა (დირექტორი ამხ. ვ. რურუა) — დავალება შეასრულა 129,8 პროცენტით, სამრეწველო კომბინატი (მმართველი ამხ. მ. ჭაჭია) — გეგმა შეასრულა 122 პროცენტით, ხორცის კომბინატი — გეგმა შეასრულა 110 პროცენტით.

დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს ბაქრაძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატისა (დირექტორი ამხ. ი. გერსამია) და პურის ქარხნის (დირექტორი ი. მარკოზია) კოლექტივებმა.

ს. შონია

სწორად მოვაწყოთ შრომა საზოგადოებრივ მეაბრეშუმეობაში

საზოგადოებრივი მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარება ამ დარგის მუშაკებს ავალებს დაეხმარონ კოლმეურნეობებს შრომის მოწესრიგებაში, ბრიგადებისა და რგოლების დროულად დაკომპლექტების საქმეში.

მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის სწორად დაყენებაზე დიდად არის დამოკიდებული აგროღონისძიებების, შრომის ორგანიზაციის, აგრეთვე სხვა მოსამზადებელი სამუშაოების წარმატებით ჩატარება.

წელს აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მოყვანისათვის უდიდესი სტიმულია შექმნილი. მეაბრეშუმეებს, რომლებიც ჭიის საზოგადოებრივ გამოკვებას აწარმოებენ, გაუდიდდათ შრომადღეების დარიცხვის ნორმები იმისდა მიხედვით, თუ მეაბრეშუმე რამდენ და რა ხარისხის პარკს ჩააბარებს სახელმწიფოს. მაგალითად, ყოველ კილოგრამ ჩაბარებულ პირველი ჯგუფის პარკზე მეაბრეშუმეს ერიცხება 3 შრომადღე, ნაცვლად გასული წლის 2,2 შრომადღისა, მეორე ჯგუფის პარკზე — 2,5 შრომადღე, ნაცვლად 1,9-სა, მესამე ჯგუფის პარკზე 1,8 ნაცვლად 1,6 შრომადღისა.

მერგოლეებს ხელმძღვანელობისათვის, მეაბრეშუმეობაში გამომუშავებული შრომადღეების გარდა, დამატებით ერიცხება შრომადღეები 8-10 პროცენტამდე.

მეაბრეშუმეებს, რომლებიც ჭიის საზოგადოებრივ გამოკვებას აწარმოებენ, ყოველ კილოგრამ ჩაბარებულ ნედლ პარკზე მიეყიდებათ 20 მანეთის სამრეწველო საქონელი: აბრეშუმი, ბამბეული, ძაფი და სხვ.

პარკის მაღალი მოსავლის ეს მძლავრი პირობა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყველა მეაბრეშუმეს უნდა გააცნონ.

კოლმეურნეობებში მეაბრეშუმეობისა და მეთუთეობის სამუშაოების საუკეთესოდ ჩატარებისათვის საჭიროა მოეწყოს მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის მუდმივი საწარმოო ბრიგადები. როცა კოლმეურნეობაში გამოსაკვები ჭიის კოლოფთა რიცხვი 200-ს აღემატება, მაშინ მიზანშეწონილია გამოიყოს მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის ორი ბრიგადა. მათ წლიურ საწარმოო დავალებაში უნდა შევიდეს: საგაზაფხულო, საზაფხულო და საშემოდგომო გამოკვების მოწყობა, საჭიე შენობისა და ინვენტარის მომზადება, დეზინფექცია, თუთის ხის ახალ ნარგავთა გაშენება, ძველის მოვლა, მაღალმოსავლიანი ჯიშების დანერგვა, მყნობის საშუალებით.

ბრიგადები უნდა დავაკომპლექტოთ მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის მცოდნე და დაინტერესებული კოლმეურნე ქალებისაგან. ბრიგადის მუდმივ წევრთა რაოდენობა საჭიროა განისაზღვროს წლიურ საწარმოო დავალებათა სიდიდით. ბრიგადაში რგოლი უნდა ჩამოყალიბდეს ყოველ 3-5 კოლოფ ჭიაზე. თუ რგოლი კვებავს 5 კოლოფ ჭიას, მაშინ პირველ და მეორე ასაკში ჭიას უვლის თვით რგოლის ხელმძღვანელი. მესამე ასაკში დაემატება ერთი კოლმეურნე, მეოთხეშიც ერთი, მეხუთე ასაკის მეორე დღიდანვე კი სამი კოლმეურნე. ამ რგოლებისათვის დამატებითი მუშახელი სხვა მუდმივი საწარმოო ბრიგადებიდან უნდა გამოიყოს. ამისათვის საჭიროა მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის ბრიგადას წინასწარ ჰქონდეს შედგენილი მუშახელის მოთხოვნილების კალენდარული ნუსხა. მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის მუდმივი ბრიგადის ხელმძღვანელი ინიშნება სამი წლის ვადით მაინც, რგოლის ხელმძღვანელი კი არა ნაკლებ 2 წლისა.

ბევრ ჩვენს მეაბრეშუმეობის რაიონში ბრიგადირებისა და მერგოლეების მუშაობა სეზონურ ხასიათს ატარებს. აბრეშუმის ჭიის გამოკვების დამთავრების შემდეგ ბრიგადები და რგოლები იშლება, ხოლო ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამუშაო, როგორიცაა მეაბრეშუმეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, უმეთვალყურეოდ რჩება. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ რაიონში საკვებ ბაზას უდიერად ექცევიან, ძველ ნარგავებს არ უვლიან, ჩეხავენ თუთის ხეებს, ხოლო ახალ ნარგავებს დაბალი ხარისხით აშენებენ. მსგავსი ფაქტები გვხვდება სოხუმის, ლაგოდეხის, გეგეჭკორის, ვანისა და სიღნაღის რაიონებში.

ბრიგადამ ჭიის გამოკვების დამთავრების შემდეგ მუშაობა უნდა გააგრძელოს მეთუთეობაში და პირველყოვლისა შეასრულოს ის სამუშაოები, რომლებიც უშუალოდ ეხებიან მეაბრეშუმეობა-მეთუთეობას. მეაბრეშუმეობის ბრიგადის წევრების სხვა სამუშაოებზე გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეაბრეშუმეობა-მეთუთეობაში სამუშაოები დამთავრებულია.

მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის წლიური სამუშაოები ასე უნდა დაიგეგმოს: ზამთრის განმავლობაში მზადდება ახალი ინვენტარი და რემონტი უკეთდება ძველს; შეირჩევა საინკუბაციო კამერები სათანადო ინვენტარით; შეკეთდება საჭიე ბინები; მოეწყობა თუთის ხეების აღრიცხვა და განაწილება-მიმაგრება რგოლებზე.

ჭიის გამოკვების პერიოდში ბრიგადირი განთავისუფლებულ უნდა იქნას ფიზიკური შრომისაგან. მან უნდა უხელმძღვანელოს ჭიის გამოკვებას ბრიგადაში. ბრიგადირის მოვალეობაა ჩაატაროს საჭიე შენობების დეზინფექცია ჭიის გამოკვების დამთავრების შემდეგ და გამოკვების დაწყების წინ. იმ ბინებში, სადაც იწარმოებს პირველი, მეორე და მესამე ასაკის ჭიის გამოკვება, საჭიროა [illegible] ფრანკლინის სისტემის ღუმელი. ბრიგადირებმა უნდა უზრუნველყონ რგოლებს შორის მუშახელის, ინვენტარის, შენობების განაწილება, მეაბრეშუმეობა-მეთუთეობაში აგროწესების დროულად ჩატარება, მოსავლის აღრიცხვა როგორც ბრიგადებში, ისე რგოლებში. მაღალი მოსავლის მისაღებად და საუკეთესო სანერგე მასალის გამოსაყვანად იზრუნონ სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის ცალკეულ რგოლებსა და წევრებს შორის, უხელმძღვანელონ რგოლების მუშაობას, კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად მიიღონ გადამჭრელი ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

წლის სხვადასხვა დროის განმავლობაში ბრიგადას დაგეგმილი უნდა ჰქონდეს ისეთი სამუშაოები, როგორიცაა: თუთის თესლის დათესვა, თუთის ხის გასაშენებლად მიწის ნაკვეთების დროული დამუშავება, სასუქების შეტანა, ნარგავების მომზადება კვირტით მყნობისათვის, თუთის ხის გაშენება პლანტაციისა და ერთეული ნარგავების სახით, თუთის თესლის დამზადება, თუთის ხის ტანის გამოყვანა და თაღის მოვლა.

მეაბრეშუმეობაში ჭიის გამოკვების გადამწყვეტი მომენტი დადგა. აბრეშუმის ჭიის დიდი ნაწილი მეოთხე-მეხუთე ასაკშია. ამ ასაკებში ჭია მოითხოვს საკვების დიდ რაოდენობას, მეტ შრომას. ეს ავალებს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სამიწათმოქმედო ორგანოებს, საქართველოს აბრეშუმის ტრესტის რაიონულ განყოფილებათა უფროსებს, აგრონომებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს სწორად მოაწყონ შრომა მეაბრეშუმეობის ბრიგადებსა და რგოლებში, მთლიანად გამოიყენონ მუშახელი.

ეს საშუალებას მოგვცემს წარმატებით შევასრულოთ აბრეშუმის პარკის დამზადების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა.

დოცენტი შრ. მოქია

დახმარება გლეხური მეურნეობებისადმი პოლონეთში

ვარშავა, 9 ივნისი. (საქტაგი). მინისტრთა საბჭომ მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია გლეხთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისაკენ. გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ პოლონეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა სდგას ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარების პლატფორმაზე. ამის შესაბამისად მიწათმოქმედების მინისტრს წინადადება ეძლევა იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით 1 ოქტომბრამდე შეიმუშაოს მიწის მფლობელობის იურიდიული საფუძვლები.

მინისტრთა საბჭომ მიანდო მიწათმოქმედების სამინისტროს და მის ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ საგლეხო ორგანიზაციებს თვალყური ადევნონ იმას, რომ შელახულ არ იქნას მიწის მფლობელის უფლება თავისი მიწის, ინვენტარისა და პროდუქტების გამოყენებაში.

სახელმწიფო [illegible] ლა მტკიცე ფასად [illegible] ხე-ტყე [illegible] ხებს, რომლებმაც [illegible] განხორციელების შედეგად. მთავრობის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ კრედიტების ყოველმხრივ გაფართოებას გლეხებისათვის როგორც დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, აგრეთვე ახლად შექმნილი მეურნეობისათვის. მრეწველობის სამინისტროს წინადადება მიეცა 1 ოქტომბრამდე მტკიცე ფასად დაამზადოს სამრეწველო ნაკეთობანი გლეხების დასაჯილდოებლად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ხელოვნური სასუქების საჭირო რაოდენობა. მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება იმ პირთა სასტიკად დასჯის შესახებ, რომლებიც კანონის მიუხედავად უკრძალავენ გლეხებს, რომლებმაც ჩაბარებანი შეასრულეს, სოფლის მეურნეობის პროდუქტები გაჰყიდონ ქალაქის ბაზრებში.

ჰიტლერელი გაულაიტერის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 9 ივნისი (საქტაგი). როგორც ნიუ-იორკის რადიო გადმოგვცემს, მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფლებამ დააპატიმრა მაგდებურგ-ანჰალტის პროვინციის ყოფილი გაულაიტერი რუდოლფ იორდანი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა ბრეტონ-ვუდსში დადებული შეთანხმებანი

ვაშინგტონი, 8 ივნისი. (საქტაგი). ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ გუშინ მოიწონა ბრეტონ-ვუდსში დადებული სავალუტო შეთანხმებანი. ეს შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სავალუტო სტაბილიზაციო ფონდის და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნას, პალატამ მოიწონა 345 ხმით 18-ის წინააღმდეგ.

ირანის კაბინეტის შედგენა მიენდო სადრს

თეირანი, 7 ივნისი. (საქტაგი). ირანის შაჰმა კაბინეტის შედგენა მიანდო სადრს (სადრ ოლ აშრაფს).

ალბანეთში

ბელგრადი, 8 ივნისი. (საქტაგი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 2 ივნისს ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ენვერ ხოჯამ მიიღო საბჭოთა სამხედრო მისიის უფროსი პოლკოვნიკი სოკოლოვი, რომელიც აუდიენციაზე გამოცხადდა მისიის სხვა წევრთა თანხლებით. სააგენტო აღნიშნავს, რომ საუბარი გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ბელგრადი, 8 ივნისი. (საქტაგი). გაზეთი „ბაშქიმი" აღნიშნავდა, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში მოკავშირეთა სამხედრო მისიები ჩამოვიდნენ, დიდ მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებმა შესაძლებლობა მიიღეს უკეთ გაეცნონ ალბანეთში არსებულ მდგომარეობასა და ვითარებას. გაზეთმა რწმენა გამოსთქვა, რომ ახალი ალბანეთის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო განმტკიცდება, და დასასრულს სწერს:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პოზიციების განმტკიცებას შედეგად მოჰყვება ჩვენი დემოკრატიული მთავრობის აღიარება დემოკრატიული მოკავშირეების მიერ, იმის მსგავსად, როგორც ეს მოხდა ჩვენს მეზობელ მარშალ ტიტოს იუგოსლავიაში, რომელიც უფრო ახლო იდგა ჩვენს ბრძოლასთან და თავის დროზე გაეცნო ალბანეთისა და ალბანელი ხალხის ნამდვილ მდგომარეობას".

მდგომარეობა ჩრდილოეთ იტალიაში

რომი, 8 ივნისი. (საქტაგი). მოკავშირეთა მე-4 კორპუსის სარდალმა გენერალმა კრიტენბერგერმა 6 ივნისს გამოსცა იტალიელი პარტიზანებისადმი მიმართული პროკლამაცია. იგი მოაგონებს, რომ მოკავშირეთა სარდლობასა და ჩრდილოეთ იტალიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტს შორის 1944 წლის დეკემბერში დადებული შეთანხმების პირობის მიხედვით ამ კომიტეტს ოკუპანტებისაგან ჩრდილოეთ იტალიის განთავისუფლებისთანავე უნდა გადაეცა თავისი რწმუნებანი ამგოტისათვის (მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაციისათვის). პროკლამაცია აგრეთვე მოაგონებს, რომ პარტიზანების მიერ იარაღის ჩაბარების ვადა 7 ივნისს გადის, და მოუწოდებს ყველას, ვისაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებია ბრძანება განიარაღების შესახებ, მხედველობაში მიიღოს ეს ვადა.

ლექციები

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთა წრის პროპაგანდისტებისათვის შესდგება მორიგი სემინარი. შესავალ ლექციას თემაზე: **„ბოლშევიკების პარტია მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში (1921-1925 წლები)"** წაიკითხავენ ქართულ ენაზე დოცენტი **ლ. გორგილაძე,** რუსულ ენაზე — დოცენტი **ლ. გუგუშიძე.**

12 ივნისს, დილის 10 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში სახელოსნო სასწავლებელთა მუშაკებისათვის შესდგება მორიგი სემინარი. შესავალ ლექციას **ლ. პ. ბერიას წიგნის — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის"** მეოთხე თავის მიხედვით წაიკითხავენ ქართულ ენაზე ამხ. **მირიანაშვილი,** რუსულ ენაზე — ამხ. **ნოლიანოსი.**

თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩის ტრანსლაცია რადიოთი

დღეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები მოსკოვში შეხვდებიან პირველობის ერთ-ერთ ძლიერეს პრეტენდენტს, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს მოსკოვის „სპარტაკს".

მატჩის მთელი მსვლელობა ტრანსლირებული იქნება რადიოთი 19 საათიდან 20 საათსა და 45 წუთამდე (თბილისის დროით).

კონსულტაცია

11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში პოლიტეკონომიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ინდივიდუალური კონსულტაცია. კონსულტაციას ჩაატარებენ დოცენტი **მელაძე** და პროფესორი **ბერაძე** ქართულ და რუსულ ენებზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

11 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სალექციო დარბაზში შესდგება უმაღლესი სკოლების საქმეთა საკავშირო კომიტეტის ლექტორის პროფესორ ნ. შჩერბინოვსკის ლექცია თემაზე: „თანამედროვე ინდოეთი" (პირადი შთაბეჭდილებების მიხედვით).

ლექციის გეგმა:

1. ინდოეთის კონტრასტული ბუნების დამახასიათებელი თავისებურებანი (ჰავა, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო);
2. ინდოეთის მრავალეროვან ხალხთა ოჯახი (რელიგია, კასტები, ყოფაცხოვრება);
3. ინდოეთის ისტორიული წარსული და თანამედროვე მდგომარეობა (ძველი კულტურა, მაჰარაჯების სასახლეები, კერპთა ტაძრები, სახელმწიფო წყობილება);
4. დედაქალაქ დელში, კალკუტაში, ბომბეიში, „სამღვთო" ბენარესში, ინდოელების სოფლებში, ინდისა და განგის ხეობებში (ბაზრები, რელიგიური პროფესიები, ფაკირები, ცოლების თვითდაწვა და სხვა);
5. თანამედროვე ინდოეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება (პოლიტიკური დაჯგუფებანი და პარტიები, ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის ბელადები).

ბილეთები იყიდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 23), ლექციის დაწყების წინ კი — სალაროში სალექციო დარბაზის შესასვლელთან. ფასი 5 მანეთი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სალექციო ბიურო

კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უწყებიან მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. მ. კაკაბაძის დედის **ევდოკია მაქსიმეს-ასულ კაკაბაძის** გარდაცვალებას.

ია და ნათელა კუხალაშვილები იუწყებიან კლავდია და სულიკო კვახაძეების მამის **ჰამსონ კვახაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ევა, გრიგოლ, და დედო ჭოხონელიძეები იუწყებიან, რომ 10/VI, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია **იზა ჭოხონელიძის** პანაშვიდი.

კატო, ნინო, გრიშა, კოლია თავართქილაძეები იუწყებიან აღმზრდელი ბიცოლას **ქსენია ღლონტის** გარდაცვალებას.

მშობლები ევგენი, თამარ, ბებია ელისაბედ და სოფიო, ძმები დათუ, არჩილ, ბიძა ევგენი, დეიდები ლილი, ვერა იუწყებიან **მარო კილაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე კატო, დედა ნინუცა, მამა ვიქტორ, ძმები გიორგი, ვალერიან, დეიდა აგრაფინა, რძლები ნადია, თინა შვილით ნანულით იუწყებიან **პლატონ ჭყონიას** გარდაცვალებას.

რძალი ივლიტა ქოიავა შვილებით: მარო, ქორა, თამარ და მაგულით, სიძეებით, შვილიშვილებით იუწყება **თადეოზ ქოიავას** გარდაცვალებას.

ნადარეიშვილი, გოგოლაშვილი, ტუფიძე, წიწივაძე, ბეკურაშვილი, საჩანელი, ჩხაიძე, ელიაძე, ჯამბაპიშვილი იუწყებიან შალვა ცაგარეიშვილის, შვილის **შალვას** გარდაცვალებას.

მამა ეპიფანე, ძმა დავით, შვილები ელეონორა, ვალერიან ელიაძეები, სიძე თედო წერეძე იუწყებიან **პლატონიდა ეპიფანეს-ასულ ხონელიას** გარდაცვალებას.

ძმა სერგო დაოშვილი იუწყება, რომ 10/VI, 5 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ ანდრონ-ძე დაოშვილის** პანაშვიდი.

ცაცა სურმავა, დ. კოპლატაძე და მარო კალანდაძე იუწყებიან ძვირფას **ქსენია სიმონის-ასულ ღლონტის** გარდაცვალებას.

და ნინო, შვილები მიხეილ, ანა, სიძე ალექსანდრე კურატაშვილი, რძლები თამარ, ელენე შვილებით იუწყებიან, რომ 10/VI, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლაზარე ნათიძის** პანაშვიდი.

შვილები ეთერ ჯაფარიძე, მარგარიტა მატარაძე და უახლოესი მეგობრები ფარმაცევტები იუწყებიან, რომ 10/VI, 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ვალიკო ჯაფარიძისა და ქეთიკო მატარაძის** პანაშვიდი.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის კოლექტივი იუწყება [illegible] მამის **დიანოზ შავლიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10/VI, 4 ს. [illegible], 25.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07270